ხელშეკრულება №02-01/9
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **25 / იანვარი / 2024 წელი**

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - დავით დიასამიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ტექნო ბათუმი“ შემდგომში „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატალია ლორთქიფანიძის სახით, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები, ასევე კარტრიჯების შევსება/დატუმბვა/შეკეთების მომსახურებების (CPV - 50300000)** შესყიდვა (შემდგომში - „მომსახურება“);
1.2 მომსახურების კონკრეტული დასახელება და ერთეულის ფასები განისაზღვრება **დანართი N1**-ით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **9990** (ცხრა ათას ცხრაას ოთხმოცდა ათი) ლარს.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულების 15% განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში დანართი N1-ით გაუთვალისწინებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის, რომლის ფასი განისაზღვრება შესყიდვის მომენტისათვის არსებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასით.
2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ეტაპობრივად, თვეში ერთჯერ, გაწეული მომსახურების შესაბამისად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც გაფორმდება მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ და დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. მომსახურების პირობა

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოს ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებასა და 38 საბავშვო ბაღში შესაკეთებელი პრინტერის აპარატების, დასატუმბი კარტრიჯების გატანა საკუთარი ხარჯებით, საჭირო მომსახურების გაწევა და მათი დაბრუნება შესაბამის ადგილებზე;

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება:
ა) ხელშეკრულების დადებიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ 38 საბავშვო ბაღში, შესაბამის მისამართებზე, დანართი N2-ის შესაბამისად;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.1.2. მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1.მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.2.2.უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.4.2. გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალური რესურსების აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი – დავით ჩხაიძე;

8.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

9.2 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.3 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:
ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.
11.2. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.
11.3. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
13.2. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების კვალიფიციური ელეტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებისთანავე და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრამდე;

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N81

საიდენტიფიკაცო კოდი: 445393510

სახელმწიფო ხაზინა

TRESGE22

ა/ნ 740737005

დავით დიასამიძე

მიმწოდებლი:

შპს „ტექნო ბათუმი“

მის: ბათუმი, ზ. გორგილაძის N86

საიდენტიფიკაცო კოდი: 445 591 333

სს ,,საქართველოს ბანკი''

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ნ: GE52BG 000 000 0 498 573 181
მობ: 568603300

ნატალია ლორთქიფანიძე

Natalia Lortkipanidze 61005006760
Digitally signed by Natalia Lortkipanidze
Date: 2024.01.25 13:58:30

დანართი N1

N	მოდელი	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ერთეულის ფასი (ლარი)
1	პრინტერები	პრინტერის თერმო ფირის შეცვლა	45
		პრინტერის რეზინის ლილვის შეცვლა	55
		მინმდინარე ტექნიკური დათვალიერება და გაწემნდა	30
		პრინტერის უსბ ბუდის შეცვლა	20
		პრინტერის ფორმატერის შეცვლა	25
2	კარტრიჯები	ლაზერული პრინტერის შავ-თეთრი კარტიჯის ტონერით შევსება	13
		ლაზერული პრინტერის შავ-თეთრი კარტიჯის ბარაბნის შეცვლა	13
		პანტუმის კარტრიჯი (PA 211) დამუხტვა ჩიპით	45
		პანტუმის კარტრიჯი (PA 211) ბარაბნის შეცვლა	35
3	დედადაფა	LGA 1150 - 1151	350
4	პროცესორი	LGA 1150 LGA	350
5	ოპერატიული მეხსიერება	DDR4 4GB	125
6	ოპერატიული მეხსიერება	DDR3 4GB	115
7	ვიდეოკარტა	GT7102GB	299
8	ქსელის კარტა	LAN Card 10/100	30
		LAN Card 1000 Mbt	45
9	კვების ბლოკი	არანაკლებ P4 400W	65
		არანაკლებ 450 W	85
10	მეხსიერება	SSD-120 GB	109
		SSD-240 GB	140
11	მყარი დისკი	500 GB	155
12	ქულერი	LGA 750	25
13	ქულერი	LGA1150	25
14	UPS-ის elementis შეცვლა	LEOCH 12V 9AH	60
		LEOCH 12V 7AH	55
15	ქსელის მომსახურება	ინტერნეტქსელის გასწორება	30
16	სისტემური ბლოკი	გაწმენდა	30
		პროგრამული მომსახურება	30

დანართი N2 - მისამართები (ლოკაციები)

საბავშვო ბაღი	მისამართი
N1	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ N25
N2	ქ. ბათუმი, ვ. ფშაველას ქ N5
N3	ქ. ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N51
N4	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N8
N5	ქ. ბათუმი, გ. მაზნიაშვილის ქ. N28
N6	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N22 ა
N7	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N17
N8	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N4 ა
N9	ქ. ბათუმი, ნ. ფიროსმანის ქ. N9
N10	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N14
N11	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N5
N12	ქ. ბათუმი, ა. წერთლის ქ. N30
N13	ქ. ბათუმი, ი. ანდრონიკაშვილის ქ. N44
N14	ქ. ბათუმი, ვ. ფშავალას ქ. N83
N15	ქ. ბათუმი, ი. ჭავჭავაძის ქ. N65
N16	ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქ. N113
N17	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N104
N18	ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქ. N3
N19	ქ. ბათუმი, სვიშევსკი ქ. N1
N20	ქ. ბათუმი, ჯ. ქათამაძის ქ. N38
N21	ქ. ბათუმი, მ. ლერმონტოვის ქN96
N22	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზ. I შეს. N4
N23	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N281
N24	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N318
N25	ქ. ბათუმი, კახაბრის უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N102
N26	ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის უბანი იბერიის ქ. N2
N27	ქ. ბათუმი, მ. ლერმონტოვისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ
N28	ქ. ბათუმი, ადლიის დასახლება, კოტე აფხაზის ქ N4
N29	ქ. ბათუმი, გონიოს დასახლება, პეტრე იბერის ქN1
N30	ქ. ბათუმი, ბარცხანის დასახლება, ი. ნონეშვილის ქ N 60
N31	ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. N14
N32	ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლება, ფრიდონ ხალვაშის XII ჩიხი
N33	ქ. ბათუმი, ურეხის დასახლება, მამია ვარშანიძის I შესახვევი
N34	ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, ც. დადიანის ქN14
N35	ქ.ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში საბავშვო ბაღი
N36	ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვი ჭავჭავაძის ქ.N7-ში საბავშვო ბაღი
N37	ქ.ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N82
N38	ქ. ბათუმში, 1. ნანეიშვილის ქN12

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები, ასევე კარტრიჯების შევსება/დატუმბვა/შეკეთების მომსახურებების შესყიდვის მიზნით, შპს „ტექნო ბათუმთან“ 2024 წლის 25 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02-01/9 ხელშეკრულების ზედამხედველობის პროცესში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი - დავით დიასამიძე